თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. ბათუმი

08/04/2014

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 02/186

ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებების შეწყვეტისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ

ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებები, რომლის თანახმად შპს „რეზი“-მ აიღო ვალდებულება ქ. ბათუმის მერიისათვის მოეწოდებინა სხვადასხვა სახის პროდუქტები (წვენი, ყავა, ჰიგიენის საშუალებები და სხვა), თანახმად ხელშეკრულებებით განსაზღვრული დანართებისა.

ქ. ბათუმის მერია დადასტურებულად მიიჩნევს, რომ შპს „რეზი“-ს მიერ ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა. ქ. ბათუმის მერია აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა შემდეგ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით:

ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებების თანახმად, (ხელშეკრულების 5.4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საქონელი. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 12 მარტის №25/3087 წერილით შპს „რეზი“-ს გაეგზავნა მოთხოვნა ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერ-

ვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებებიდან გამომდინარე გარკვეული საქონლის მოწოდებისა. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 12 მარტის №25/3087 წერილი შპს „რეზი“-ს ჩაბარდა 2014 წლის 17 მარტს, თუმცა მის მიერ მოთხოვნილი საქონელი არ მოწოდებულა. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 25 მარტის №25/4221 წერილით შპს „რეზი“-ს ეცნობა, რომ დაუყოვნებლივ მოეწოდებინა ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 12 მარტის №25/3087 წერილით მოთხოვნილი საქონელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ქ. ბათუმის მერიის მიერ განხილული იქნებოდა როგორც ხელშეკრულებების პირობების დარღვევა, ხელშეკრულებები შეწყვეტილი იქნებოდა და დაეკისრებოდა ამავე ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირგასამტეხლო. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 25 მარტის №25/4221 წერილი შპს „რეზი“-ს ჩაბარდა 2014 წლის 31 მარტს, თუმცა მის მიერ მოთხოვნილი საქონელი კვლავ არ მოწოდებულა და არც ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ უცნობებია.

ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებების თანახმად, (ხელშეკრულების 6.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა არ მიაწოდა საქონელი ხელშეკრულებით მითითებულ ვადებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მიცემული ვადის ან გაფრთხილების უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 25 მარტის №25/4221 წერილით შპს „რეზი“ გაფრთხილებული იქნა მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე. ამდენად, ქ. ბათუმის მერია თვლის, რომ შპს „რეზი“-სათვის ცნობილი იყო ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებების ქ. ბათუმის მერიის მხრიდან შესაძლო შეწყვეტის თაობაზე. ხელშეკრულებების (ხელშეკრულების 6.3 პუნქტი) თანახმად, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,5%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე კანონის 43-ე

მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 24 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის დებულების“ და ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეწყდეს ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებები.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას ქ. ბათუმის მერიასა და შპს „რეზი“-ს შორის 2014 წლის 07 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37, №38 და №39 ხელშეკრულებების შეწყვეტასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. დაევალოს ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებას წინამდებარე ბრძანების შპს „რეზი“-ზე (დირექტორი ლია ანანიძე, მის. ქ. ბათუმი, ბესიკის ქ. №51) კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მერია.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ჩავლეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე